ალ.ყიფშიძე - ქართულ-რუსულ და ქართულ -სომხურ ურთიერთობებზე

მაკა დოლიძე, პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2025.11.01.03

აბსტრაქტი

ალექსანდრე ყიფშიძე ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. მან პუბლიცისტური საქმიანობა ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნის დროს დაიწყო, აქვეყნებდა კორესპონდენციებს გაზეთ „დროებაში“. მოგვიანებით თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში: „ცნობის ფურცელში“, „მეგობარში“, „ისარში“, „მოამბეში“, „ერსა“ და „ივერიაში“. იგი იყო ჟურნალ „კლდისა“ და გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედკოლეგიის წევრი.

ალექსანდრე ყიფშიძე სისტემატურად წერდა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. იგი, როგორც ისტორიკოსი კარგ ცოდნას ამჟღავნებდა არა მარტო საქართველოს ისტორიის, არამედ ევროპის ქვეყნების ისტორიის მიმართაც. პუბლიკაციებში საუბრობდა ეკონომიური ცხოვრების, ეთნოგრაფიის, კულტურის, ლიტერატურის საკითხებზე. თითოეულ საკითხზე მოჰყავდა სათანადო არგუმენტები, შესაბამის დასკვნებს აკეთებდა და ამომწურავ პასუხს იძლეოდა იმაზე, თუ რა არის იმისათვის აუცილებელი, რომ ერთ მუშტად შეიკრას ერი და გაუმჯობესდეს ცხოვრების პირობები.

პუბლიცისტი ყურადღებას ამახვილებდა ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობებზე, იგი წერდა, რომ ყველა სომეხს მოღალატეობას ვერ დასწამებდით, ყველანი როდი იყვნენ რუსი მოხელეების ერთგულნი.

ალ.ყიფშიძე საუბრობდა ყველა იმ მეცნიერის შესახებ, რომელიც ცდილობდა გაეყალბებინა საქართველოს წარსული, მისი ისტორია და თავისი მოსაზრებებით დაეკნინებინა ქართველი ხალხი.

საკვანძო სიტყვები პუბლიკაცია, საქართველო, სომხები, მეცნიერი, ურთიერთობები, წარსული

Al. Kipshidze - About Georgian-Russian and Georgian-Armenian relations

Maka Dolidze PhD, Professor

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

Aleksandre Kipshidze was a famous Georgian historian, publicist, public and political figure. He started his journalistic activity while still in the seminary. He published correspondence in the newspaper "Droeba". He worked in various magazines and newspapers: "Tsnobis furceli", "Megobari", "Isari", "Moambe", "Eri" and "Iveria". He was one of the founders and a member of the editorial board of the magazine "Klde" and the newspaper “Sakartvelo”.

Aleksandre Kipshidze systematically wrote about the current situation in Georgia. As a historian, he showed good knowledge not only of the history of Georgia, but also of the history of European countries.

As a historian, he knew well not only the history of Georgia, but also the history of European countries. In his publications, he talked about issues of economy, ethnography, culture and history of literature. He gave arguments on each issue, was doing appropriate conclusions.

In his publications, he focuses on the relations between the Georgian and Armenian peoples, is speaking about of all those scientists who tried to falsify the past of Georgia, its history and degrade the Georgian people with their opinions.

Keywords Publications, Georgia, Armenians, scientist, relations, past life.

ალექსანდრე ყიფშიძე ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. მან პუბლიცისტური საქმიანობა ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნის დროს დაიწყო, აქვეყნებდა კორესპონდენციებს

გაზეთ „დროებაში“. მოგვიანებით თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში: „ცნობის ფურცელში“, „მეგობარში“, „ისარში“, „მოამბეში“, „ერსა“ და „ივერიაში“. იგი იყო ჟურნალ „კლდისა“ და გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედკოლეგიის წევრი.

ალექსანდრე ყიფშიძე სისტემატურად წერდა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. იგი, როგორც ისტორიკოსი კარგ ცოდნას ამჟღავნებდა არა მარტო საქართველოს ისტორიის, არამედ ევროპის ქვეყნების ისტორიის მიმართაც. პუბლიკაციებში საუბრობდა ეკონომიური ცხოვრების, ეთნოგრაფიის, კულტურის, ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას მოჰყავდა სათანადო არგუმენტები, შესაბამის დასკვნებს აკეთებდა და ამომწურავ პასუხს იძლეოდა იმაზე, თუ რა არის იმისათვის აუცილებელი, რომ ერთ მუშტად შეიკრას ერი და გაუმჯობესდეს ცხოვრების პირობები.

გაზეთ „ისარში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ პუბლიკაციაში მოგვითხრობდა სამთავროების ცალ-ცალკე ყოფნისა და დამოუკიდებლობის შესახებ. იხსენებდა იმ დროს, როდესაც განცალკავება მოინდომეს აფხაზეთმა, რაჭამ, გურიამ, სამეგრელომ და შფოთისა და ამბოხების გუნებაზედ დადგნენ. „განცალკავების სურვილმა ისე მძლავრად შეიპყრო იგინი, რომ აღარ დაგიდევდნენ, რა მოყვებოდა იმათ შუღლსა და განდგომას“[1]. - წერდა ალ. ყიფშიძე და ყველაფრის ამის მიზეზად კი მას რუსეთი მიაჩნდა, რომელმაც თავბრუ დაახვია მათ და როგორც მფარველ ანგელოზს ისე უყურებდნენ მას.

„მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთის პოლიტიკა ბაბაყულას ქსელსავით შემოეხვია ივერთა ქვეყანას, აღმოსავლეთ-დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან რუსები მოაწვნენ და გასავალი აღარ იყო.“ - წერდა პუბლიცისტი[1].

ალ. ყიფშიძე აღშფოთებული იყო რუსების საქციელით, რომლებმაც ბედი გაუმწარეს საქართველოსა და ქართველებს. გაანადგურეს კახეთის მოსახლეობა, მიანგრიეს ძველი დაწესებულებები და ახალი შემოიღეს. ამხელდა გენერალი რადიშევის საქციელს, რომელიც სჯიდა მოღალატეებს, ხოლო რუსების ერთგულებს აჯილდოებდა. მან გამოსთხოვა იმპერატორს უმაღლესი „ღრამატა“ საქართველოში მცხოვრები სომეხი ხალხისთვის.

პუბლიცისტი აღწერდა თბილისის გაჩირაღდნებულ უბანს, საუკეთესო ფარჩითა და იშვიათი ნივთებით მორთულ დუქან-ბაზარს, სადაც სომეხი ხალხი გათენებამდის ქეიფობდა და სეირნობდა. „უცხო და შორეულ მაყურებელს ეგონებოდა, ალბათ სომხობას უდიდებულესი ხარტია მიაქვთ საღმვთო ტაძარს სამშობლოს პოლიტიკურად აღდგომისაო და არა ... რაპორტი, რომელიც აშკარად ჩირქს სცხებდა სომხობის ეროვნულ თავმოყვარეობას და სახელს უტეხდა ისტორიულ და კულტურულ ერს“ [2].

როგორც ვხედავთ, ალ. ყიფშიძე ცდილობდა ბოლომდე არ შეელახა სომხების ღირსება. მათ ისტორიულ და კულტურულ ერს უწოდებდა და აცხადებდა, რომ ყველა სომეხს მოღალატეობას ვერ დასწამებდნენ, ყველანი როდი იყვნენ რუსი მოხელეების ერთგულნი და მაგალითისათვის მოჰყავდა ქართველებთან ერთად რუსების წინააღმდეგ მებრძოლი ოხანოვის ჯგუფი. ასევე ასახელებდა ავეტიქ - ბეგს, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა ალექსანდრე ბატონიშვილს. „თუ ერთგულებაზე მივარდებოდა საქმე, განა თითო ოროლა ქართველმა უფრო სამაგალითო ერთგულობა არ გამოიჩინა რუსის მთავრობისა, აი თუნდ გენერალმა ორბელიანმა და არქიმანდრიტმა ელეფთერმა“[3].

საუბრობდა რა რუსების სისასტიკისა და სომხების უთავმოყვარეობაზე, აქვე გულისტკივილით მოგვითხრობდა მოღალატე ქართველების შესახებ და გენერალ-ლეიტენანტ ორბელიანისა და არქიმანდრიტ ელეფთერის გარდა ასახელებდა ქიზიყის მოურავს იოსებ ანდრონიკაშვილსა და ნინია ერასტიშვილს. „იოსებმა და ნინიამ უფრო მეტად აიკლეს კახეთი, ვიდრე ორბელიანმა და რუსეთმა“.[4] - წერდა იგი და დასძენდა, თუ სიმონოვიჩი წინიდან ეღობებოდა ალ. ბატონიშვილს, ორბელიანი ზურგიდან ფეხდაფეხ მოსდევდა. ამის გამო ვერ შეძლო ალ.ბატონიშვილმა მანავის ციხეში გამაგრება, იმ ციხეში, რომელიც „მინგრეულ-მონგრეული ეხლაც აპირობდა უკანასკნელი პატრონობა გაეწია წამებულ საქართველოსათვის“.[4]

ალ. ყიფშიძე მხატვრული ხერხების გამოყენებით აღწერდა მანავის ციხეს „შეურყეველ ბურჯად და დარაჯად ედგა მანავის ციხე წამებულ საქართველოს, ბევრჯერ შეხეთქებია მის კლდესა და კალთებს მტრის მკერდი, მრავლად დაღვრილა ქართველის სისხლიც მანავის ციხის უბე-კალთაში“. [4]

ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობების შესახებ არის საუბარი ალ. ყიფშიძის წერილში „საქართველოს ისტორია და ბატონი ეზოვი“. ალ.ყიფშიძე ეკამათებოდა სომეხ ისტორიკოსს, რომელიც თავის ნაშრომში „Сношения Петра Великого с Армянским народом“ ცდილობდა გაეყალბებინა საქართველოს ისტორია, ჩირქი მოეცხო ქართველი ხალხისათვის და წინა პლანზე დაეყენებინა „დაფარული აზრი „საქართველო საქართველო კი არ არის ძველი სომხეთიაო“[5].

ფაქტების გაყალბებაში ეზოვს ილია ჭავჭავაძეც ამხელდა. „მაცდური და წყეული სურვილი გზას უბნევს ბ-ნ ეზოვს და სისულელეს აროშვინებს მეცნიერების სახელით" [6].

ალ.ყიფშიძე აღნიშნავდა, ეზოვი საქართველოზე საუბრისას ძუნწობს და გულძვირობს, ხოლო მეტად გულუხვია და ხელგაშლილი, როდესაც საქმე სომხეთს ეხება. ეზოვი საქართველოს სახანოდ მოიხსენიებდა და გამგებელთ ხანებად და ეს გასაკვირი არც არის, რადგანაც ყიზილბაშები ხანობით ათას ვიგინდარას იხსენიებდნენ. „სპარსეთში ხანობის ღირსება მჭადივითა ცხვებოდა“. ალექსანდრე ყიფშიძემ იცოდა, ამით რისი თქმა უნდოდა ეზოვს და იმედი ჰქონდა, რომ მის „ცულლუტობას და დაფარულ აზრს“ მკითხველიც მიხვდებოდა. „დალოცვილს უშველებელი წიგნი დაუწერია, - წერდა ალ.ყიფშიძე, - მრავალთაგან მრავალი საისტორიო წიგნი და მასალა წაუკითხავს, სადაც ათი - ათასჯერ არის მოხსენებული საქართველო, როგორც სამეფო, მისი გამგენი, როგორც მეფენი და მაინც ერთხელაც არ გვაღირსა ეს სახელწოდება, ერთგანაც არ წამოსცდენია, რომ საქართველო სამეფო იყოვო და მის გამგეთ მეფეები ერქვათო“ [5].

ეზოვმა, რაც კი ქართველებზე ცუდი დაწერილა, ყველაფერი შეკრიფა და თავის ნაშრომში თავი მოუყარა. სწორედ ამ ნაშრომიდან ჩანს, როგორ უყურებდა საქართველოს და ქართველ ხალს. რა მიზანი ჰქონდა და როგორ ცდილობდა მის განხორციელებას. ალ.ყიფშიძე აღნიშნავდა „ბ-ნი ეზოვი ნამდვილი მეცნიერი კი არა, ცრუ მეცნიერია ... სიკვდილით სასჯელიც რომ მოელოდეს, ამას არ იკადრებს ნამდვილი მეცნიერი, მხოლოდ ზნე-დაცემული კაცი იკადრებს და გაჰბედავს წასცხოს ჩირქი მეცნიერებას, რათა დააჯეროს ქვეყანა,რომ შავი თეთრია და თეთრი შავიო“[5].

პუბლიცისტი კიცხავდა ეზოვს და აცხადებდა, რომ ვერ გაუგია რა ხელობის კაცია გ.ა. ეზოვი, პროფესორი, სამხედრო თუ შტატსკი გენერალი. თუმცა ცხადია, გაკაფულ გზაზე თამამად დანავარდობს და „ეხლა რაკი გზა გაიკაფა, სიარული აღარავის უჭირდება“.

ალ.ყიფშიძე მარტო ეზოვის კრიტიკით არ კმაყოფილდება. იგი გამოდის როგორც პატკანოვის, ასევე მისი შეგირდის ნიკო მარის წინააღმდეგ. პატკანოვი ამბობდა, რომ ქართველებს ისტორია არ ჰქონდათ. მეფე ვახტანგმა მეთვრამეტე საუკუნეში რაღაც მატიანე შეთითხნა, ხოლო ანბანი სომხის ბერმა მესროპმა შეადგინა. ხოლო რაც შეეხება ნიკო მარს, აცხადებდა, რომ კულტურა, თუ კი რამე ამის ნასახი საქართველოში მოიპოვება, სომხებმა უწყალობესო. პატკანოვსა და მარის არც გენერალი ქიშმიშევი ჩამორჩებოდა. მან საქართველო გარიყულ ხომალდს შეადარა, საიდანაც ვისაც რა უნდოდა იმას იღებდა. გენერალი ამით როდი დაკმაყოფილდა. ბატონიშვილები და თავადიშვილები მშიერ-მწყურვალებად მოიხსენია, რომლებსაც ქალაქის ბაყლები და მეხილეები ასაზრდოებდნენ.

ალ. ყიფშიძე აღშფოთებას გამოხატავდა ამ მეცნიერების მიმართ და წერდა „პროფესორებმა მეცნიერების შემწეობით, გენერალმა იერიშის მიტანით უწყალოდ დაამსხვრიეს საქართველოს წარსული. ეხლა რა კი გზა გაიკაფა, სიარული აღარავის უჭირდება. ამისათვის არც პროფესორობაა საჭირო და არც გენერლობა“ [5].

იმის დასამტკიცებლად რომ მეცნიერები და გენერალი ცრუობდნენ, ალ.ყიფშიძეს მოჰყავდა ისტორიკოსის არაქელა თავრიზელის სიტყვები. ისტორიკოსი ამბობდა, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში გადასახლების დროს სომხებმა დიდი გაჭირვება და უბედურება გამოიარეს. ნახევარზე მეტი გზაში დაიღუპა, სამშობლოში დარჩენილები კი შიმშილით იხოცებოდნენ. „ზოგი სად წავიდა, ზოგი სადა, რუმენია, მოლდავია, პოლონეთი, ყირიმი, თავრიზი, არდებილი და შავი ზღვის ნაპირები გაივსო გაქცეული სომხობით. ასე დაიფანტა და დაიბნა სომხეთის ერიო“[5].

ალ.ყიფშიძე დაეყრდნო რა არაქელა თავრიზელის სიტყვებს, დაასკვნა, რომ გაქცეულმა სომხებმა საქართველოს შეაფარეს თავი და აქვე კითხულობდა „რადა ჰმალავს ამ ფაქტს ბ-ნი ეზოვი“ და ამ კითხვაზე პასუხს თავად სცემდა „ალბად,

იმისთვის, რომ სომეხი, რაც უნდა გაჭირვებული იყვეს, ქართველს როგორ სთხოვდა მფარველობას? ეს ხომ შეურაცხყოფა იქნება ეროვნულის თავმოყვარეობისა?“[5].

ეზოვი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართველები დაემცირებინა. იგი მოიხსენიებდა შარდენს, პიეტრო დელავალესის, ტავერნიეს და ტურნეფორის, რომელთა აზრით ქართველობაში მაჰმადიანობა იყო გავრცელებული. დედ-მამა ექვსი-შვიდი წლის გოგონებს ისპაჰანში ან ოსმალეთში ჰყიდდა. ქართველები იყვნენ ლოთები, უნამოსოები, გარყვნილები, მოღალატეები. მათ უარი უთქვამთ ქრისტიანობაზე, ქრისტესათვის არავინ წამებულა. „ასე სასტიკად რად მოისურვა ჩვენი გაწბილება ბ. ეზოვმა, ნუ თუ სჯერა, რომ ქართველ კაცს არ ძალუძს ქრისტესათვის სისხლი დასთხიოს, მისთვის ეწამოს?“[5] - კითხულობდა ალ. ყიფშიძე და მაგალითისათვის მოჰყავდა ქეთევან დედოფალი, რომელიც აწამეს, მაგრამ თავისი რჯულისათვის მაინც არ უღალატია, იმერეთის მეფე სოლომონი და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე, რომელიც ქრისტიანობის მტერს ოსმალეთს გმირულად ებრძოდა, როდესაც ეკატერინე დიდმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ალ.ყიფშიძე არაც გრაფ ტოტლებენს ივიწყებდა, რომელმაც უღალატა მეფე ერეკლეს და უკან გამოტრიალდა. „ვინ მოსთვლის, რამდენი უბედურება გამოიარა საქართველომ იმის წყალობით, რომ ირაკლიმ შეისმინა ეკატერინე დიდის მოწოდება, დაარღვია მეგობრული კავშირი და ომი გამოუცხადა სულთანს - წერდა ალ. ყიფშიძე[5].

ალ.ყიფშიძე ეზოვის ნაშრომს მხოლოდ კრიტიკის ქარცეცხლში როდი ატარებდა, მას დამამტკიცებელი საბუთი მოჰყავდა თავისი მოსაზრებების გასამყარებლად. წერილის დასასრულს აღნიშნავდა, ეზოვი არა მარტო აყალბებდა საქართველოს ისტორიას, არამედ ცუდად მოიხსენიებდა ყველა იმ პიროვნებას, ვისაც სძაგდა სომხები, არ სწამდა მათი ვაჟკაცობა, სძულდა სომეხთა გაქნილი ხასიათი. სწორედ ამის გამო გააკრიტიკა პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი, რომელიც ხშირად ადარებდა სომხებს ურიებს. „იმ ციციშვილს, რომელმაც ოთხი წლის განმავლობაში მთელი ამიერკავკასია შესძინა რუსეთს, დასთრგუნა მეამბოხენი საქართველოში და ჩაჰყარა მკვიდრი საძირკველი რუსეთის მფლობელობისა ჩვენს ქვეყანაში“.[5]

როგორც ვხედავთ, თუ რომელიმე ქართველი სომეხი ერისადმი დიდი სიმპატიებით არ გამოირჩეოდა, ეზოვი არაფრის გამო უკან არ იხევდა და უშვერი ეპითეტებით ამკობდა მას.

ალ. ყიფშიძის ეს ნაშრომი საკმაოდ საინტერესოა. ამ წერილით მან გაილაშქრა არა მარტო ეზოვის , არამედ ყველა იმ მეცნიერის წინაშე, რომელიც ცდილობდა გაეყალბებინა საქართველოს წარსული, მისი ისტორია და თავისი მოსაზრებებით დაეკნინებინა ქართველი ხალხი.

ალ.ყიფშიძემ ამ წერილში განიხილა ის ნაშრომები და იმ ავტორტთა მოსაზრებები, რომლებიც ცდილობდნენ სიმართლე ეთქვათ, როგორც ქართველი, ასევე სომეხი ხალხის შესახებ. რეალურად დაეხატათ მათი წარსული. თუმცა ეზოვს სიმართლე არ აინტერესებდა. არ დაინტერესებულა იმავე შარდენს სხვა რა უთქვამს ქართველებზე ცუდის მეტი. არა და შარდენი წერდა „ქართველები თავაზიანები არიან, მოსიყვარულე გულისანი, თავმომწონენი, თავდაჭერილნი, რომ ქართველები სომხებზე ძლიერნი, ზვავნი და მედიდურნი არიან, რომ ქართველები გაუტეხელი და მამაცი ხალხია, რომელიც თავგანწირულად იბრძვის თავის თავისუფლებისათვის... ქართველებს ძლიერ სძულთ სომხები და თითქმის ისე უყურებენ, როგორც ევროპაში ურიებს. ეს სიძულვილი, ალბათ, იმითი თუ აიხსნება, რომ ქართველები რაინდული ხალხი იყო, საქართველოს შემოხიზნული სომხობა კი უფრო ვაჭრობას და აღებ-მიცემობას მისდევდა“.[5]

ეზოვმა მხოლოდ იმ ნაშრომებით ისარგებლა, რომლებიც მას აწყობდა. მხოლოდ იმაზე ამახვილებდა ყურადღებას, რაც კი მისთვის იყო მისაღები და არავითარ ღონეს არ იშურებდა ქართველი ხალხის გასაკრიტიკებლად. ხედავდა რა ამას ალექსანდრე ყიფშიძე, სომეხ მეცნიერზე განაწყენებული წერდა „ეზოვის წიგნი ახალი წიხლებია ჩვენსკენ გამოშვერილი ... აქ ულმობელი ბრძოლაა ისტორიის აჩრდილთან“[5]

ლიტერატურა

1. გაზ.„ისარი“№4, 1907 წლის 10 იანვარი;
2. გაზ. „მეგობარი“№39, 1906 წლის 10 ნოემბერი;

3. გაზ. „მეგობარი“№39, 1906 წლის 7 ნოემბერი;

4. გაზ. „მეგობარი“№11, 1906 წლის 7 ოქტომბერი;

5. ა-ლისა „საქართველოს ისტორია და ბატონი ეზოვი“ ჟურნ.„მოამბე“ № 1,1899 წ., file:///C:/Users/MyComputer/Downloads/Moambe_1899_N1%20(2).pdf ბოლო ნახვა 5.V.2025

6. წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) „ქვათა ღაღადი“ VII http://geolit.ge/ilia/qvata_gagadi_7.htm ბოლო ნახვა 5.V.2025